

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ შპს „ვეისთ მენეჯმენტ ჯორჯიას“ ქ. თბილისში დაგეგმილი აქვს არასახიფათო ნარჩენების პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია. აღნიშნული საქმიანობა განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 10.3 (ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა) ქვეპუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას.

2024 წლის 16 სექტემბერს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისში „პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის“ სკრინინგის ანგარიში, რომელიც სააგენტოს 2024 წლის 29 ოქტომბრის N609/ს ბრძანებით, საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქედების შეფასებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით განსახილველად წარმოგიდგენთ ქ. თბილისში „პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის“ პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

დანართი:

1. სკოპინგის ანგარიში;
2. საქმიანობის განხორციელების ადგილის Shp ფაილები.

შპს „ვეისთ მენეჯმენტ ჯორჯიას“ დირექტორი
დონა მახ



ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული
სააგენტო
-18- 11 2024წ.
№ 1104